ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**ვ-63. 63232052**

თარიღი:**24/07/2023**

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი 6 პროექტის მოწონების შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმები''-ს მე-2 მუხლის შესაბამისად, განიხილა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი 6 პროექტის მოწონების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მოწონებულ იქნას საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი 6 პროექტი (დანართი №1 თან ერთვის).

დანართი №1

ინფორმაცია

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად

სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი 6 პროექტის შესახებ

№	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება (ლარი)		პროექტის შესასრულებელი ვადები		შენიშვნა (რეგიონული ფონდიდან მოთხოვნილი თანხა)
		სულ	მ.შ თანადაფინანსება	დაწყება	დასრულება	
	1	2	3	5	6	7

1	ქ. სამტრედიაში, რუსთაველის N23 ბინის მიმდებარედ არსებული სტადიონის რეაბილიტაცია.	114842	5743	აგვისტო	ოქტომბერი	109099
2	ქ. სამტრედიაში, გეგეშიძის ქუჩაზე არსებულ(მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დასავლეთ მხარეს) სკვერის რეაბილიტაცია.	158632	7932	აგვისტო	ოქტომბერი	150700
3	ჭავჭავაძის ქ. N4 ბინის დასავლეთ მხარეს არსებული სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები.	35000	1750	აგვისტო	ოქტომბერი	33250
4	მერიის დასავლეთ მხარეს არსებული სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები	45000	2250	აგვისტო	ოქტომბერი	42750
5	სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტოლების ადმ. ერთეულში ე.წ. ,,მეურნეობის დასახლებაში" არსებული 2 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ, გასართობ-დასასვენებელი სივრცის მოწყობა.	35000	1750	აგვისტო	ოქტომბერი	33250
6	ჭავჭავაძის ქუჩა N2-ის მიმდებარედ (ყოფილი სასტუმრო) სამხრეთ მხარეს დაზიანებული ტროტუარის სარეაბილიტაციო სამუშაოები.	75000	3750	აგვისტო	ოქტომბერი	71250

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი